სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/206

ქ. თბილისი

1 დეკემბერი 2020 წ.

სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე კულტურის მეცნიერებათა აკადემიური დეპარტამენტის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის №23 ოქმის, ფაკულტეტის დეკანის ი. გაბისონიას მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 1 დეკემბრის №01-05-02/35 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე შეიქმნას კულტურის მეცნიერებათა აკადემიური დეპარტამენტი;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დაამტკიცოს აღნიშნული დეპარტამენტი;
3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი ი. გაბისონია;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**